

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 მაისის N 32/19 ოქმით

## სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების სისტემა

სამეცნიერო პუბლიკაციების კუთხით, საქართველოს უნივერსიტეტი პრიორიტეტს ანიჭებს პუბლიკაციებს, რომლებიც აისახება მსოფლიოს წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში - Scopus-სა და Web of Science-ში. ამას აქვს რამდენიმე ძირითადი ურთიერთდაკავშირებული მიზეზი:

წამყვან სამეცნიერო ბაზებში სამეცნიერო ჟურნალების მოხვედრა თავისთავად არის მათი ხარისხის ერთერთი მაჩვენებელი.

მსოფლიოში სამეცნიერო ჟურნალების დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, თანამშრომელთა სამეცნიერო აქტივობის ხარისხის შესაფასებლად აუცილებელია გარკვეული მზა, გარე ფილტრების გამოყენება. სწორედ ასეთი ფილტრია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები. მხოლოდ Scopus-ის ბაზაში 37,000-ზე მეტი სამეცნიერო ჟურნალია, ხოლო Web of Science-ის “ბირთვში” - 21,000-მდე. ამ ბაზების გარეშე, ათეულობით ათასი ჟურნალიდან ნებისმიერის სანდოობის დამოუკიდებლად შეფასება უნივერსიტეტისგან დიდ რესურსებს მოითხოვს და ზოგი დისციპლინის შემთხვევაში შესაძლოა შიდა რესურსებით ვერც მოხერხდეს. ამავე ბაზების კლასიფიკაციით, არსებობს ასეულობით სამეცნიერო ქვედარგი - ზოგი ქვედარგის ჟურნალის შესაფასებლად შესაძლოა შესაბამისი დარგის სპეციალისტები ვერც უნივერსიტეტში და ვერც საქართველოში მოიძებნოს.

წამყვანი სამეცნიერო ბაზები იძლევა საჭირო მეტა-ინფორმაციას მათში მოხვედრილი თითოეული ჟურნალისა და პუბლიკაციის შესახებ, რაც ასევე ამარტივებს სამეცნიერო აქტივობის ხარისხის შეფასებას.

პუბლიკაციის სამეცნიერო ღირებულების შეფასებისას გამოსადეგია ისეთი პარამეტრები, როგორცაა ჟურნალის საშუალო ციტირებადობა და კონკრეტული სტატიის ციტირებების რაოდენობა. ეს პარამეტრები სანდო და შედარებადი ხდება მხოლოდ გარკვეული სამეცნიერო ბაზის ფარგლებში. მაგალითად, შეიძლება შევადაროთ Scopus-ის ბაზაში მოხვედრილი ერთი დარგის ორი სტატიის ციტირებების რაოდენობა. მაგრამ არაკორექტული იქნება შევადაროთ ერთი სტატიის ციტირებების რაოდენობა Scopus-ში მეორე სტატიის ციტირებების რაოდენობას სხვა ბაზაში.

რომელიმე წამყვან ბაზაში დაფიქსირებული ციტირებების რაოდენობა ასევე სანდოა იმ გაგებით, რომ ასახავს ციტირებებს მხოლოდ ისეთ ნაშრომებსა და ჟურნალებში, რომლებიც აგრეთვე მოხვედრილია ამავე ბაზაში.

ამდენად, ბაზაში პუბლიკაციების მოხვედრა გვაძლევს არამხოლოდ ხარისხის გარკვეულ მაჩვენებელს, არამედ მათი შედარების სანდო ინსტრუმენტსაც.

მეცნიერები მთელი მსოფლიოს მასშტაბით უფრო დიდი ალბათობით ეცნობიან ნაშრომებს ისეთ ჟურნალებში, რომლებიც მოხვედრილია წამყვან ბაზებში და ლიდერობს შესაბამისი დარგის ჟურნალებს შორის.

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 მაისის N 32/19 ოქმით

ნაშრომების შესაბამისი დარგის სპეციალისტებამდე მიტანა არამხოლოდ ნაშრომების ხარისხის მაჩვენებელი, არამედ მათი გავლენისა და პრაქტიკული შედეგიანობის ფაქტორია. მაღალი ხარისხის ნაშრომი შესაძლოა სამეცნიერო პროცესისთვის დაიკარგოს, თუ მას არ გაცნობიან პროფესიულ წრეებში.

ამდენად, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების პრიორიტეტიზაციით, ჩვენ არამხოლოდ ვადგენთ ხარისხის სტანდარტს, არამედ ხელს ვუწყობთ სამეცნიერო აქტივობის შედეგიანობას.

ზემოთაღნიშნული ფაქტორების გამო, საუნივერსიტეტო სარეიტინგო სისტემებიც ძირითადად ეყრდნობა საერთაშორისო ბაზებში აღრიცხული პუბლიკაციების შეფასებას.

საერთაშორისო ბაზების მიღმა აღმოჩენილი სამეცნიერო ნაშრომები - გარდა იმისა, რომ რთულად ექვემდებარება ხარისხის შეფასებას და დიდი ალბათობით რჩება ფართო სამეცნიერო პროცესის მიღმა - ვერ ახდენს სათანადო გავლენას უნივერსიტეტის საერთაშორისო რეიტინგებსა და რეპუტაციაზე.

უნივერსიტეტის საერთაშორისო რეპუტაცია, თავის მხრივ, პირდაპირაა დაკავშირებული შემდგომ აკადემიურ წარმატებასთან. უნივერსიტეტის რეიტინგი აისახება მასთან თანამშრომლობის მსურველი მეცნიერებისა თუ სტუდენტების აკადემიურ დონეზე.

ამდენად, სამეცნიერო პუბლიკაციების კუთხით თანამშრომელთა აქტივობის შეფასების მთავარი ინსტრუმენტი საქართველოს უნივერსიტეტისთვის არის Scopus-ისა და Web of Science-ის ბაზებში მათი პუბლიკაციების რაოდენობა, ჟურნალები და ციტირებადობა.

დამატებითი ინსტრუმენტია Google Scholar-ში აღრიცხული ნაშრომებისა და ციტირებების შეფასება. Google Scholar-ის მაჩვენებლები ხშირ შემთხვევაში კორელირებს წამყვანი ბაზების მაჩვენებლებთან და ასევე გარკვეულ გავლენას ახდენს ზოგიერთ სარეიტინგო სისტემაზე. Google Scholar-ში მოხვედრა ასევე ზრდის კოლეგების მიერ პუბლიკაციის მოძებნისა და გამოყენების ალბათობას. თუმცა, Scopus-ისა და Web of Science-ისგან განსხვავებით, Google Scholar-ი არ აწარმოებს კონტროლს სამეცნიერო ჟურნალების თუ სხვა სამეცნიერო წყაროების (როგორცაა საკონფერენციო ნაშრომები) ხარისხზე. Google Scholar-ში შესაძლებელია მოხვდეს პრაქტიკულად ნებისმიერი ონლაინ განთავსებული წყარო, რომელიც დააკმაყოფილებს გარკვეულ ტექნიკურ, არასამეცნიერო კრიტერიუმებს.

ინდივიდუალურ შემთხვევებში შესაძლებელია კრიტერიუმი იყოს ისეთი პუბლიკაციებიც, რომელიც არაა მოხვედრილი ზემოთ აღნიშნულ ბაზებში - მაგალითად, გარკვეული რელევანტურობის მქონე მონოგრაფიების, საექსპერტო დოკუმენტების ან სახელმძღვანელოების შემთხვევაში. თუმცა უნივერსიტეტი არ იღებს ვალდებულებას სრულად აღრიცხოს და შეაფასოს ძირითად ბაზებში ვერმოხვედრილი ყველა პუბლიკაცია.